

მე-2 კლასი

I. ენის სამყარო

1. ანზანის მიხედვით, რომელი ასო აკლია მოცემული ასოების რიგს: *ს ტ უ ფ ღ ყ*
ა. შ; ბ. ქ; გ. ს; დ. ც
2. რამდენი მარცვლისგან შედგება სიტყვა „გაზაფხული“:
ა. ოთხი; ბ. ორი; გ. სამი; დ. ხუთი
3. რომელია სიტყვის სწორი დამარცვლა:
ა. აღ-მზრდე-ლი; ბ. ა-ღმზრდ-ელი; გ. აღმზრდე-ლი; დ. აღ-მზრდე-ლი
4. ჩასვით „საქართველო“ წინადადებაში მართებული ფორმით:
..... ბუნება სილამაზითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.
ა. საქართველომ; ბ. საქართველოს; გ. საქართველო; დ. საქართველოთი

II ლექსიკა

5. იპოვეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ნიმუში: პატარა - დიდი):
ა. გრძელი - მოგრძო; ბ. ცეცხლი - ბუხარი; გ. სატირალი - მოტირალი; დ. ზარმაცი - ბეჯითი;
6. რა იქნება მოცემული სიტყვების საერთო (გამაერთიანებელი) სახელი: *ბავშვი, ქალი, კაცი, მოხუცი, ბიჭი, გოგო?*
ა. უფროსი; ბ. უმცროსი; გ. ადამიანი; დ. მოსწავლე
7. შეარჩიეთ ისეთი ვარიანტი, რომლის ჩასმაც გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართავს წინადადებას:
სადაც დაიბადეთ, თვალი და აიდგით, ის არის თქვენი
ა. გაახილეთ | ხელი | სახლი
ბ. სამშობლო | ხელი | ფეხი
გ. დახუჭეთ | ფეხი | სამშობლო
დ. გაახილეთ | ფეხი | სამშობლო

III სიტყვაკაზმული ქართული

8. რას ნიშნავს გამონათქვამი „გული გაუსკდა“:
ა. გაყოჩაღდა; ბ. შეეშინდა; დ. იტირა; დ. გული ეტკინა
9. რას ნიშნავს გამონათქვამი „მასხრად აიგდო“:
ა. შეაქო; ბ. დასცინა; გ. პატივი სცა; დ. სცემა
10. რას ნიშნავს გამონათქვამი „არაფრად ჩააგდო“:
ა. ყურადღება არ მიაქცია; ბ. ორმოში ჩააგდო; გ. გაებუტა; დ. დატუქსა

IV წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ჭიანჭველა და ფუტკარი“, უპასუხეთ შეკითხვებს:

ჭიანჭველას წამოევიდა ოთხი თავისოდენა ტვირთი, მიათრევდა და ჩიოდა:

- ჩემოდენა ჯაფაში სულდგმული არ არის, მაგრამ ქება კი არავისგან მესმის. აი, უღონო და ბზულია ფუტკარი მარტო ყვავილებზე დაფრიალებს, მაგრამ ყველა იმის ქებაშია. მეტი უსამართლობა კიდევ იქნებაო?

ფუტკარმა ეს გაიგონა და უპასუხა:

- ძმაო, შენ მარტო შენი თავისთვის ზრუნავ, ჩემი შრომა კი ადამიანისთვისაც სასარგებლოა. ამიტომაც მაქვს მე ქვეყანა და შენ კი არავინ არაფრად გაგდებსო.

11. რას ჩიოდა ჭიანჭველა?

ა. ტვირთი ძალიან მძიმე იყო; ბ. სულ ჯაფაში იყო, მაგრამ არავინ აქებდა; გ. ზურგი სტკიოდა; დ. სულ ჯაფაში იყო

12. როგორ გესმით სიტყვა „ჯაფა“?

ა. სიზარმაცე; ბ. დაღლილობა; გ. შრომა; დ. მწუხარება

13. ჭიანჭველას აზრით, რას აკეთებს ფუტკარი?

ა. მარტო სძინავს; ბ. მარტო დროს ატარებს; გ. მარტო ბზუის; დ. მარტო ყვავილებზე დაფრიალებს

14. რით სჯობს ფუტკარი ჭიანჭველას?

ა. ფუტკარი უფრო ჭკვიანია; ბ. ფუტკარი სხვებზედაც ზრუნავს; გ. ფუტკარს ფრენა შეუძლია; დ. ფუტკარი შორს დაფრინავს.

15. რომელი ანდაზა შეესაბამება მოთხრობის მთავარ აზრს?

ა. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო;
 ბ. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა;
 გ. ემსახურე სიმართლესო, არ დაგიღვეს სინათლესო;
 დ. ბევრი ბუზი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო.